



MES 7 19 01668098



06/12/2019

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეს თავჯდომარეს ბ-ნ ნიკა ახალბედაშვილის

**სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის 2019 წლის
ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის “ინფორმაციის
თავისუფლების” თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე**

წარმოგიდგენთ სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო
სკოლის(შემდგომში სკოლა) 2019 წლის ანგარიშს საქართველოს კანონის „საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგად
ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული „ინფორმაციის თავისუფლების” თავით
გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის 2016 წლის 19 სექტემბრის
№1/კ24 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ
ეკის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი ანა ნანავა.

ა) 2019 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის
თაობაზე წარმოდგენილ იქნა 3 (სამი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის
თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 3 (სამი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა
მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა მოთხოვნა, საჯარო
დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის
თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე
მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2019 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ
პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია
მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის 2019წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	3 (სამი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	3 (სამი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის
სოფელ ეკის საჯარო სკოლის დირექტორი

/ლელა სიჭინავა/

ლ. სიჭინავა

დირექტორი
სიჭინავა ლელა